თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 1 აპრილი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. დავით გოგბერაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. გრიგოლ გიორგაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3.როლანდი მესხი, 4. ფრიდონ გვენეტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282505569, 24.02.2025 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებით - 19150.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.5 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს.

2024 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 15-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 6-ჯერ და საკრებულოს მიერ 9-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35980.0 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის წლიური ფაქტიური შემოსულობები 35846.2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 35619.2 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი იანვრისათვის ნაშთი დარჩა 228.0 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები -119.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები - 109.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი